სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების ცვლილება

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის ,,დ“ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე,

შევიდეს ცვლილება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 26 ივნისის N4 სხდომის ოქმით დამტკიცებული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში

1. **დებულების მე- 4 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„4. ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულებია: ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET) და ტურიზმის სკოლა.“

2. **დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა წარმოადგენს ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც შესაძლებელია ახორციელებდეს ეკონომიკის მიმართულებით ინგლისურენოვან საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებსა და კვლევებს.“

3. **დებულებას დაემატოს 15[1] მუხლი :**

„მუხლი15[1] . ტურიზმის სკოლა

1. ტურიზმის სკოლა წარმოადგენს ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ფაკულტეტის გადაწყვეტილებით შესაძლებელია ახორციელებდეს ტურიზმის მიმართულებით საბაკალავრო პროგრამის ადმინისტრირებასა და კვლევებს.
2. ტურიზმის სკოლის ამოცანაა ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისთვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად სასწავლო პროცესის წარმართვა.
3. ტურიზმის სკოლა სასწავლო პროცესის წარმართვისას მოქმედებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, თსუ-ს წესდების, ფაკულტეტის დებულებისა და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
4. ტურიზმის სკოლა ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის მართვის ორგანოების წინაშე.
5. ტურიზმის სკოლის საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი. ტურიზმის სკოლის დირექტორს, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
6. ტურიზმის სკოლის თანამშრომლები მათი უფლება-მოვალეობების გათვალისწინებით ექვემდებარებიან თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შესაბამის სამსახურებს.
7. ტურიზმის სკოლის მისამართია: ვაჟა-ფშაველას გამზირი N44, 0179 თბილისი.“